ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №81
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „24“ 04 2017 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ”** (შემდგომ- „ხელშეკრულება”) - „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” საქართველოს კანონის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ამავე სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე **„შემსყიდველ ორგანიზაციას”** და **„მიმწოდებელს”** შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 **„შემსყიდველი ორგანიზაცია”** - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 **„მიმწოდებელი”** - იურიდიული პირი, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 **„ხელშეკრულების ღირებულება”** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა” წლის მანძილზე ეტაპობრივად „მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისათვის;

1.5 **„დღე”, „კვირა”, „თვე”** - კალენდარულ დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა მისი ხელმძღვანელის ბატონ ტარიელ ებრალიძის სახით (შემდგომ - „შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, შპს „დაუ+”-ის წარმომადგენელი მისი დირექტორის ბატონ დავით ხოსრუაშვილის სახით (შემდგომ-„მიმწოდებელი”), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ქვემოთ მოტანილი მომსახურების შესრულებაზე.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

3.ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით მომსახურებისა და კონსულტაციების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლასიფიკატორის (CPV) 79412000 კოდით.

4. შესყიდვის ობიექტი

4.1 შესყიდვის ობიექტია მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური მენეჯმენტის რეგულირების უზრუნველსაყოფად საჭირო კონსულტაციების გაწევა და სათანადო მომსახურების შესყიდვა

4.2 **„შემსყიდველი"** ავალებს, ხოლო **„მიმწოდებელი"** ასრულებს შემდგომი სახის მომსახურებასა და შესატყვისი კონსულტაციების მიწოდებას:

4.2.1 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების, 2017-2020 წლების ბიუჯეტების პროექტების შედგენის, განხილვის, მიღების, ცვლილების შეტანის, შესრულების, ანგარიშგების, გარე და შიდა აუდიტის ჩატარების თაობაზე ახალი ნორმატიული აქტების (კოდექსების, კანონების, ბრძანებულებების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, განკარგულებების, დებულებების, ბრძანებების, ინსტრუქციების), მოქმედ ნორმატიულ აქტებში შეტანილი ახალი ცვლილებებისა და სხვა მასალების მიწოდება;

4.2.2 ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ ცალკეულ ნორმატიულ აქტზე საკონსულტაციო კომენტარებისა და განმარტებების მომზადება და მიწოდება;

4.2.3 **„შემსყიდველის"** მიერ საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის თაობაზე მოთხოვნილი ნებისმიერი კონსულტაციის მომზადება და მიწოდება;

4.2.4 **„შემსყიდველის"** მიერ საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ ზეპირი ან სატელეფონო განმარტების მიწოდება;

4.2.5 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2016-2019 წლების ბიუჯეტების ფორმირებაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანასა და შესრულებაში პრაქტიკული დახმარება;

4.2.6 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური მენეჯმენტის რეგულირების უზრუნველყოფისათვის საჭირო კონსულტაციების გაწევა და სათანადო მასალების მიწოდება;

4.2.7 ამავე დავალების მე-4.1.1 და მე-4.1.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოები **„შემსყიდველს"** მიეწოდება ყოველთვიურად, 365-368 გვერდიანი ტომის სახით აკინძული ფორმითა და თანდართული სარჩევით, რომელიც დალაგებული უნდა იყოს თემატურად (საკითხებად);

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

4.2.8 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობაში დანერგილი სიახლეებისა და პროგრესული გამოცდილების მოკვლევა და მიწოდება.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 **„მიმწოდებელი"** იღებს ვალდებულებას:

5.1.1 საქმიანობის მსველობისას განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა და წინამდებარე ხელშეკრულება;

5.1.2 შეასრულოს აღებული ვალდებულება დროულად და ხარისხიანად, საქართველოს კანონმდებლობისა და **„შემსყიდველის"** კანონიერი მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.2 **„შემსყიდველი"** იღებს ვალდებულებას:

5.2.1 **„მიმწოდებლის"** მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივად (სრულად) და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ყოველთვიურად აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება;

5.2.2 წარმოუდგინოს **„შემსრულებელს"** ყველა აუცილებელი დოკუმენტი და შესაბამისი ახსა-განმარტება მომსახურებასთან დაკავშირებით;

5.3 **„შემსყიდველი"** არ აგებს პასუხს **„მიმწოდებლის"** მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 **„შემსყიდველი"** არ აგებს პასუხს **„მიმწოდებლის"** მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდბეულებაზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მიწოდებულად (სამუშაო შესრულებულად) ჩაითვლება **ეტაპობრივად** (ყოველთვიურად) შესამისი მომსახურების გაწევის შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7. **„მიმწოდებელის"** მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, თუ ის მოხდა:

8.1.1 **„შემსყიდველის"** მიზეზით - **„მიმწოდებელი"** თავისუფლდება პასუხის-

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

მგებლობისაგან და გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

8.1.2 **„მიმწოდებლის"** მიზეზით - **„შემსყიდველს"** უბრუნდება გადახდილი თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ (მომსახურების მთლიანი მოცულებაში შესრულებული სამუშაოს ხვედრითი წილის პროპორციულად, რასაც მხარეები ურთიერთ შეთანხმებით დაადგენენ).

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის **მხარეებს** ეკისრება პირგასამტეხლო, ხელსეკრულების საერთო ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს მხარეთა წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მიწოდებული მომსახურების (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

9.1 **„მიმწოდებელი"** იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მომსახურება (გასაწევი მომსახურება) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მომხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად). წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი მომსახურების შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება).

10. მომსახურების პერიოდი, ღირებულება და ფასები

10.1 მომსახურების (სამუშაოს) შესრულების ვადა მოიცავს პერიოდს 2017 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 1 იანვრამდე.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 3600 (სამიათასექვსასი) ლარით დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტერს.

10.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმალობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

11. ანგარიშსწორება

11.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხდება ლარებში **უნაღდო** ანგარიშსწორებით, **„მიმწოდებლის"** მიერ წარმოდგენილი რეკვიზიტების მიხედვით **„მიმწოდებლის"** საბანკო ანგარიშზე .

11.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად მომსახურების წლიური ღირებულების 1/12(ერთი მეთორმეტედის) ოდენობით შესაბამისი **„მიღება-ჩაბარების" აქტის** გაფორმებიდან 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაიცია.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემის შეზღუდვა

13.1 **„მიმწოდებელს"** არა აქვს უფლება **„შემსყიდველის"** წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. სუბ-კონტრაგტორები

14.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, **„მიმწოდებელმა"** წერილობით უნდა აცნობოს **„შემსყიდველს"** ზემოაღნიშნულის შესახებ ან მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

14.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს **„შემსყიდველს"** მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადბეული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს **„მიმწოდებელს"** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად.

15.2 ფორს-მარჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულეის დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს. ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებიბის ზეგავლენისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუზველი და მოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს. გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან

16.4 **„მიმწოდებლის"** მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა **„შემსყიდველს"** უფლებას აძლევს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

ა) თუ **„შემსყიდველისათვის"** ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

17.2 თუ **„შემსყიდველი"** და **„მიმწოდებელი"** ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით უფლება აქვს დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების მე-10.1 ქვეპუნქტში მითითებულ პერიოდში.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **ორ ეგზემპლარად** და **ორივეს** აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18.3 ხელშეკრუების **თითო** ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები

„შემსყიდველი" შუახევის მუნიციპალიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: N 247 865 145
მისამართი: დ. შუახევი
თამარ მეფის ქუჩა N 30
ტელეფონი: 595 50 73 74
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
კოდი: PRESGE 22
ა/ა N: GE24NB 0330100200165022

„მიმწოდებელი"- შპს „დაუ+"
საიდენტიფიკაციო კოდი: №202461488
მისამართი: ქ. თბილისი,დიღმის მასივი,
III კვარტალი, I კორპუსი, ბინა N77
ტელეფონი: (032) 230 64 46; 577 415 577
მომსახურე ბანკი:„საქართველოს ბანკი"
კოდი: SWIFT: BAGAGE 22
ა/ა N: GE26BG0000000607318700

გამგებელი

(ტარიელ ებრალიძე)
ბ. ა.

დირექტორი

(დავით ხოსრუაშვილი)
ბ. ა.